

**არჩევნებიდან—არჩევნებამდე
რეზო ოქრუაშვილი
ხალხის გაზეთი**

არჩევნებიდან—არჩევნებამდე პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი რეგიონებში ნაკლებად აქტიურობს. მათ უმრავლესობას ოფისებიც კი არ გააჩნიათ რეგიონულ ცენტრებში და პოტენციური მხარდამჭერებისთვის მიუწვდომელი არიან. ბევრი პოლიტიკური პარტიის სახელიც კი უცნობია გორის მოქალაქეებისთვის, არამარტო მათი საარჩევნო პროგრამები და მანიფესტები. გორში ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებიდან—არჩევნებამდე აქტივობები არ უშეჩერებიათ. სხვადასხვა ფორმით ყოველთვის ახსენებენ თავს საზოგადოებას ადგილობრივი ტელევიზიით გამართული დებატებითა თუ მიზნობრივი აქციების ჩატარებით. რესპუბლიკური პარტია, „ჩვენი საქართველო—თავისუფალი დემოკრატები“, ქართული პარტია, ეროვნული კრება, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ახალი მემარჯვენეები. ეს ორგანიზაციები გამოირჩევიან მეტ-ნაკლები აქტივობებით და ყოველთვის ახსენებენ გორის მოსახლეობას, რომ „არსებობენ“. რაც შეეხება მმართველ პარტიას – ნაციონალურ მოძრაობას, მათ, რა თქმა უნდა, ოფისი აქვთ, მუდმივად ფუნქციონირებენ, მაგრამ, პრაქტიკულად, არც ერთ ტელედებატებში, ან საჯარო გამოსვლებში პარტიული პოზიცია არ დაუფიქსირებიათ. შეიძლება ეს იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებაში ნაციონალური მოძრაობის სახეობად არიან აღქმულნი.

პოლიტიკური პარტიები ძირითადად წინასაარჩევნოდ ადამიანური რესურსის მოზიდვით არიან დაკავებული. ეს ოფისებშიც იგრძნობა. პარტიული ლიდერების თქმით, ისინი სოფლებში დადიან, შეხვედრებს მართავენ მოსახლეობასთან. ამ დღეებში რამდენიმე პარტიის ლიდერს შევხვდით და ვესაუბრეთ.

ახალი მემარჯვენეების ლიდერი შიდა ქართლში იოსებ ბორცვაძე: „საკმაოდ კარგად ვართ წარმოდგენილნი შიდა ქართლში, მით უმეტეს, გორში, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია. ბოლო პერიოდში ჩვენში მოხდა სტრუქტურული ცვლილება - ამჟამად მოქმედებს შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაცია ცალკე სტრუქტურული დანაყოფებით: კასპი (თავმჯდომარე დავით ციხისტავი), გორი (თავმჯდომარე დათო არსენიშვილი), ქარელი (თავმჯდომარე გოჩა დავითაშვილი), ხაშური (თავმჯდომარე მაია ახალკაცი).

ამ ეტაპზე ჩვენ ვიმყოფებით სახეების ძიებაში პარტიის გაძლიერების მიზნით. წინა არჩევნებზე ვიყავით ოპოზიციურ ალიანსში სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად. გორში შემდგომ პერიოდში იყო პარტიის ფუნქციონირების გარკვეული წყვეტა. ალიანსში ყოფნისას ჩვენი მაჟორიტარი კანდიდატი გაერთიანებული ოპოზიციის სახელით იყო გიორგი მოსიძე. საარჩევნო საქმიანობა ძირითადად გადადიოდა ახალი მემარჯვენეების ხარჯზე, კონკრეტულად კი ახალი მემარჯვენეების საქმიანობა გამოკვეთილად არ ჩანდა. გაერთიანებებში ჩვენი იდენტობა დაკარგეთ და ახლა უნდა დავიბრუნოთ. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5 მანდატი ავიღეთ, მაგრამ არ შევედით პარლამენტში და ანგარიში გავუწიეთ მაშინ არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურას. იმჟამად საარჩევნო შტაბს ვხელმძღვანელობდი და ჩვენი მთავარი აქცენტი იყო ხელისუფლების შეცვლა და კონტექსტიდან ამოვარდნილი ცალკე პროგრამა ნამდვიდად არ გვქონია. ცალკე პროგრამა გვქონდა, როცა ჩვენი პარტიის

თავმჯდომარე დათო გამყრელიძე პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და ის ახმოვანებდა ჩვენი პარტიის მიმართულებებსა და მიზნებს. ამჟამად ახალმა მემარჯვენეებმა აიღეს პასუხისმგებლობა საარჩევნო სიების გადამოწმებაზე და ამ საქმითაც ვართ გარკვეულწილად დაკავებული. დღესდღეობით აქტიურად ვლობირებთ სოფელს. ჩვენი პროგრამაა – ახალი მემარჯვენეები ქართული სოფლისათვის. მომავალი 4 წელი საპარლამენტო ტრიბუნლიდან ჩვენთვის პრიორიტეტი იქნება ქართული სოფელი. სოფელში ყველაზე მდიდარი ადამიანი პენსიონერია, სოფლად მოსახლეობას ძალიან უჭირს. ჩვენ წამოვიწყეთ კამპანია სოფელ–სოფელ და მთელი პარტია გადართული ვართ ამ საქმიანობაზე. ჩვენი მიზანია ხელისუფლება დავტოვოთ უმცირესობაში. 90%-ით გამარჯვებული ხელისუფლება ირგებს კანონებს თავის თავზე, რაც დემოკრატიულ მმართველობას არ ახასიათებს.“

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი თამაზ შიოშვილი: „ჩვენ ფულადი რესურსი ადგილზე არ გავაჩნია. ვმუშაობთ ენთუზიაზმზე და ერთი ოჯახივით ვართ შეკრულნი, რადგანაც ინდივიდუალური დაფინანსება არ გვაქვს. დაახლოებით 45 სოფელში გვყავს ჯგუფი, რა თქმა უნდა, გორშიც. ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ მათი ვინაობის გამხელისაგან, რომ ხელისუფლებამ მათზე ზეწოლა არ მოახდინოს. ეს ხალხი წინასაარჩევნოდ გამოჩნდება და მხარს დაუჭერს „ქართულ ოცნებას“. გვაქვს ყოველდღიური შეხვედრები უშუალო მხარდამჭერებთან, ორგანიზაციის წევრებთან და უბრალოდ ადამიანებთან, რომლებიც პარტიის წევრები არ არიან და მხარს გვიჭერენ.“

პ/გ „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ გორში 2010 წლის 30 სექტემბერს დაფუძნდა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ადგილობრივ არჩევნებში ალიანსის სახელით გამოდიოდა. ძირითადად ყურადღება გამახვილებული გვქონდა ადგილობრივ დონეზე სოციალურ და ჯანდაცვის საკითხებზე. დღეს ჩვენი პარტია კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია. ამჯერად, სოფლის მეურნეობის განვითარების, ჯანდაცვისა და განათლების პროგრამებს არჩევნებამდე 3 თვით ადრე წარვუდგენთ ამომრჩევლებს. 27 მაისი დაანგრევს მითს, რომ ნაციონალური მოძრაობა არის უძლეველი. საქართველოს მოსახლეობა დაინახავს, თუ რაოდენ დიდ ძალას წარმოადგენს „ქართული ოცნება“.

მრეწველები გვიან შემოგვიერთდნენ და ადგილობრივ დონეზე ჯერჯერობით არ დაუწყიათ საქმიანობა.“

„ეროვნული ფორუმი“ სოსო ვახტანგაშვილი: „გვაქვს წარმომადგენლობები ქალაქ გორსა და გორის რაიონში, რომლებიც თავის საქმიანობებს აწარმოებენ პარტიულ პლატფორმაზე. გვყავს გორის რაიონის ზონის კოორდინატორები, რომლებიც წინასაარჩევნო პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი.“

თვითკრიტიკის მიზნით ვიტყვი, რომ რეალური სურათი სასურველისაგან გარკვეულწილად განსხვავდება, მაგრამ სასურველი ვითარების მისაღებად მუშაობა მიმდინარეობს. „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრებთან ხდება სუბორდინაცია, რომ ერთობლივად გამოიკვეთოს კოალიციის მხარდამჭერთა სახეები. ჯერჯერობით, ეს საკმარისია. წინა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა არ მიგვიღია, რადგან ხელისუფლება მაინც გააყალბებდა არჩევნებს და ჩვენი მონაწილეობით ის დემოკრატიულ იმიჯს მოიგებდა.

რაც შეეხება წინა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს, კოალიციის წევრები ვიყავით და ცალკე პოლიტიკურ–პარტიული დაპირებები ამომრჩევლებისთვის არ გვქონია. ზოგადად გეტყვით ჩვენს პარტიულ ხედვებს: ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის დანერგვა,

სპეციალური პროგრამები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, სპეციალური ხედვა კონფლიქტების დარეგულირების კუთხით და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ამჟამად კოალიციასთან ხდება ჩვენი ხედვებისა და პროგრამების შეჯერება და მას უახლოეს მომავალში შევთავაზებთ საზოგადოებას.

ჩვენი პროგრამა ხალხისთვის გასაგებ ენაზე იქნება დაწერილი და არ დარჩება საქართველოს არც ერთი მოქალაქე, რომელიც გულგრილი დარჩება ამ პროგრამის მიმართ.“

რესპუბლიკური პარტიის ქალაქ გორისა და გორის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარე **ლექსო ვალიაური**: „ამჟამად ვართ „ქართული ოცნების“ ოფისში, თუმცა, აპრილის ბოლომდე ცალკე გვქონდა ოფისი დაქირავებული. თუ პარტიული მიმართულებით რაიმე გვჭირდება, ვიყენებთ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოფისს. მაისის ბოლოს სწორედ იქ გაიმართება ჩვენი კომიტეტის სხდომა. პარტიულ თანამდებობაზე ჩემი არჩევიდან ერთი წლის შემდეგ მოხსენებას გავაკეთებ. 15 ახალგაზრდა წევრი გვყავს მოძრაობა „ახალგაზრდა რესპუბლიკელებში“. ვსარგებლობთ კორპორაციული სატელეფონო ქსელით და საკანცელარიო ნივთებს თბილისის ოფისი გვიგზავნის. გორის საკრებულოში გვყავს წარმომადგენელი დავით რაზმაძე. პარტია 74 წევრით არის წარმოდგენილი და მათ შორის ერთ-ერთი აქტივისტის, ემზარ ჭონიშვილის დედა გაათავისუფლეს სკრის სკოლიდან შვილის ჩვენს პარტიაში ყოფნის გამო. ქალები პოლიტიკაში – ამ მიმართულებას კოორდინაციას უწევს ლელა ლომსაძე. ძირითადად, თავს ვიკავებ აქტივისტების დასახელებისგან, რომ შემდგომში ხელისუფლებამ მათზე ზეწოლა არ მოახდინოს.

შემცირდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც წინა არჩევნებში იყვნენ ჩართულნი. ბევრი მათგანი ამ არჩევნებში აღარ მიიღებს მონაწილეობას. რაც ხელმძღვანელი გავხდი, მინდოდა, საკადრო რეფორმა გამეტარებინა. პარტიიდან 35 წევრი გავრიცხე, რადგან ისინი მხოლოდ სიითი წევრები იყვნენ. 74 ადამიანი საკმარისი არ არის იმისათვის, რაც დღეს ქართულ პოლიტიკას სჭირდება, ამიტომაც ვმუშაობთ კვალიფიციური კადრის მოზიდვაზე.

კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტიური წევრები ვართ. კარგი ურთიერთობა გვაქვს კოალიციის სხვა სუბიექტებთან. დანარჩენი პარტიები საკმაოდ გამოცდილნი არიან, თითოეულს 4-5 არჩევნები მაინც აქვს ჩატარებული. 2008 და 2010 წლის არჩევნებზე ჩვენ უნდა შეგვეცვალა ხელისუფლება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. 2012 წელს შევცვლით ხელისუფლებას და ავასრულებთ ქართულ ოცნებას. წინა არჩევნებში სოციალურ პროგრამებზე გვქონდა აქცენტი, ახლა მთლიანად გადართულნი ვართ იმაზე, რომ ქვეყანაში მოხდეს პოლიტიკური სახეების ცვლილება. ეს უსახურები უნდა წავიდნენ ხელისუფლებიდან. 27 მაისს ქართულმა ოცნებამ უნდა გამოაცხადოს საარჩევნო კამპანიის დაწყება. გამოვაცხადებთ კოალიციის საარჩევნო პროგრამას და სამოქმედო გეგმას, ჩვენი მიზანია, საარჩევნო გზით შევცვალოთ ხელისუფლება და პარლამენტში უმრავლესობით მოვიდეთ.“

„ხალხის პარტია“, შიდა ქართლის რეგიონის თავმჯდომარე **ოთარ ხარატიშვილი**: „ჩვენ ვართ „ქართულ ოცნებაში“ და პროგრამაც, შესაბამისად, ერთიანი გვექნება. წინა ადგილობრივ არჩევნებში „ეროვნული საბჭოს“ სახელით გამოვედით და ერთიანი სამოქმედო პროგრამა გვქონდა. ყურადღებას ვამახვილებდით სოციალურ თემებზე, კერძოდ, უმუშევრობის პრობლემასა და კომუნალურ საკითხებზე. ძირითადი აქცენტები პენსიონერებზე გვქონდა გადატანილი. გორთან დაკავშირებით განყენებული პროგრამა არ გვქონია.

პარტია ბიუჯეტიდან ფინანსდება და, ამიტომაც, გორის ოფისის ხარჯებს და კომუნალურ გადასახადებს პარტია იხდის. წინა არჩევნებში ოპოზიციას რეიტინგი არ ჰქონდა და თითქოს არჩევნებში მონაწილეობა აზრს კარგავდა. ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ გაჩნდა იმედი. ხალხი ცვლილებას ელოდება და, შესაბამისად, ჩვენი იმედი აქვს.“

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ზურაბ როსებაშვილი: ძირითადი ფინანსური რესურსი არის სახელმწიფო დაფინანსება, რადგან ვართ საპარლამენტო პარტია. ჩვენ წარმოდგენილი ვართ გორის საკრებულოში და როგორც კანონმდებლობით არის განსაზღვრული, მუნიციპალიტეტმა გამოგვიყოფო ფართი ოფისისთვის. ჩვენი ორგანიზაციის თანხები გამჭვირვალეა, ვფინანსდებით არჩევნებში მიღებული შედეგების მიხედვით. საკმაოდ დიდი რაოდენობის მხარდამჭერები გვყავს, რაც წინა არჩევნებმა დაადასტურა. ქალაქ გორსა და გორის რაიონში ავიღეთ ამომრჩეველთა ხმების 10,98 პროცენტი. საარჩევნო კომისიები მთლიანად დაკომპლექტებული გვაქვს. უბანზე მინიმუმ 5 აქტიური წევრი გვეყოლება. პარტია ძირითადად დაკომპლექტებულია ახალი სახეებით. როგორც ბიზნესში მყოფი ადამიანები, ისე პოლიტიკურად ნაკლებად აქტიური პირები, თუმცა, მათ საქმიანობაში ჰქონდათ წარმატებები.

1 ივნისს ქუთაისში მოხდება საკონსტიტუციო ცვლილებების ჩვენს მიერ შემუშავებული კანონპროექტის პრეზენტაცია და ამჟამად მის ორგანიზაციულ საკითხებში მონაწილეობით ვართ დაკავებული. შემდეგ დავიწყებთ 200000 ხელმოწერის შეგროვებას საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის, რაც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. საკონსტიტუციო ცვლილებები ეხება საქართველოში მორალისა და ტრადიციული ცხოვრების წესის შენარჩუნების აუცილებლობას. დღევანდელი რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პრიორიტეტულია სოფელი და მისი განვითარება.“

პ/გ „თორთლაძე – დემოკრატები“, ავთო შოშიაშვილი: „ამ პარტიით მივიღე მონაწილეობა ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში და გავხდი საკრებულოს დეპუტატი. ჩემი დაპირება შემოიფარგლებოდა იმით, რომ ორთაშენს, თედოწმინდას, ტინისხიდს ჰქონოდა სასმელი წყალი და ეს განხორციელდა. ვერ გეტყვით, მომავალ არჩევნებზე რას ვიზამთ. პარტიას ოფისი არ გააჩნია.“

პ/გ „ქართული პარტია“, ილია მეტრეველი: „ჯერჯერობით, წინასაარჩევნო კამპანია არ დაგვიწვია. სახელმწიფომ შეაჩერა პარტიის დაფინანსება. დაფინანსება უნდა მიგველო ბიუჯეტიდან რადგან „ქართულ პარტიას“ შეუერთდა პ/გ „ერთიანი საქართველოსთვის“, რომელიც წინა საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური ალიანსის შემადგენლობაში იყო და პარლამენტის რამდენიმე მანდატი გვერგო. გასული წლის დეკემბრამდე ვიღებდით დაფინანსებას, იანვარშიც ჩავგვირიცხეს თანხა, მაგრამ შემდეგ დაგვირეკეს და თანხის უკან გადარიცხვა მოგვთხოვეს. ჩვენ მიემართეთ სასამართლოს და არანაირი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. წინა არჩევნებში ვიყავით ალიანსში და დამოუკიდებელი პარტიული პროგრამა არ გვქონია. ყველაფერი რაც კეთდებოდა იყო ალიანსის სახელით. ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა არ მიგვიღია რადგან ხელისუფლება გააყალბებდა მას და აზრი არ ექნებოდა. ვინმესთან თუ გავერთიანდებით სამომავლოდ, ჯერ ცნობილი არ არის. ოფისის თანხებს ჩვენ თვითონ ვფარავთ.“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, კახა ტოლიაშვილი: „ოფისი ჯერჯერობით გახსნილი არ არის, წინასაარჩევნოდ მიმდინარეობს რემონტი და დასრულებისთანავე გაიხსნება. ამჟამად ვარ საჯარო მოხელე და შეკითხვებზე სამწუხაროდ პასუხებს ვერ

პროექტი - „მოქალაქე ჟურნალისტები გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებისთვის“

გაძლევა. ოფისის გახსნის შემდეგ იქნებიან კონკრეტული პირები, რომლებიც პარტიის სახელით გააკეთებენ განცხადებას და პარტიის საქმიანობის შესახებ მოგაწვდიან ინფორმაციას.“

„საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“ წინა არჩევნებში წარმოადგენდა ქეთევან ცაბაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად აღარ არის ლეიბორისტული პარტიის წევრი და და პარტიას გორში ოფისი არ გააჩნია.

„ხალხის გაზეთმა“ 50-მდე მოქალაქეს ერთი შეკითხვით მიმართა: – იცნობთ თუ არა პარტიებს, რომლებიც გორში ფუნქციონირებენ და რა გსმენიათ მათი აქტივობების შესახებ.

როგორც რესპონდენტების პასუხებიდან გაირკვა, მათი უმრავლესობა გორში ფუნქციონირებდა პოლიტიკურ პარტიებს არ იცნობს და არც მათი აქტივობების შესახებ სმენიათ რამე. გთავაზობთ რამდენიმე მოქალაქის პასუხს, რომლებიც დანარჩენი პასუხების იდენტურია.

ალექსანდრე ქასოშვილი: „კი გამოგია მაგალითად ეროვნული, ხალხის პარტია, ნაციონალები, ფორუმი... მათ აქტივობებზე არაფერი მსმენია“.

ზ.ხ.: „არანაირი პოლიტიკური პარტიის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია, არც მათი აქტივობების შესახებ მსმენია რაიმე.“

გ.ბ.: „არა არ ვიცი.“

ავთანდილ ჭილაძე: „მე მხოლოდ კობა დავითაშვილის პარტია ვიცი, სხვებზე ინფორმაცია არ მაქვს და არც მათი აქტივობების შესახებ ვიცი რამე.“

მურმან ლომიძე: „კი ვიცი ნაციონალები, ქართული პარტია. მე სხვა დანარჩენზე ინფორმაცია არ მაქვს. არანაირი აქტივობის შესახებ არ მსმენია“

ს.ბ.: „არავიზე არაფერი არ ვიცი.“

ნუნუ მაისურაძე: „მემარჯვენეები, ქართული ოცნება. სხვა არ ვიცი, ღონისძიებების შესახებ არაფერი მსმენია“.

თინა ლომსაძე: „არა, არაფერი მსმენია და არც ღონისძიებები არ ვიცი.“

გიული ილარიშვილი: „ნაციონალები. სხვა მე არ მსმენია“

გიორგი ბალიაშვილი: „ეროვნული ფორუმი, მემარჯვენეები, ქართული ოცნება, ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ მათი აქტიურობის შესახებ არაფერი მსმენია“

მაკა ნასყიდაშვილი: „საერთოდ არაფერი არ მსმენია“

ნინო ილურიძე: „არა, არ მსმენია არაფერი“.

ქარქიშვილი გიორგი: არა, არაფერი მსმენია. პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის“.

ვლადიმერ ყორანაშვილი: „არა, არაფერი მსმენია“

ცენტრალური ბიუჯეტიდან ე. წ. კვალიფიციური სუბიექტები მნიშვნელოვან დაფინანსებას იღებენ, რათა მათ შეძლონ პარტიის განვითარება, რეგიონული და რაიონული სტრუქტურების ჩამოყალიბება, საზოგადოებასთან და პოტენციურ ამომრჩეველთან ურთიერთობების დამყარება.

„ხალხის გაზეთის“ მკითხველისთვის საინტერესო იქნება, ალბათ, გაეცნონ, რა თანხები იხარჯება ამ მიზნით მათი გადასახადებიდან შევსებული ცენტრალური ბიუჯეტიდან: პ/გ „ახალი მემარჯვენეები“ – 182134,32 ლარი, პ/გ „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტა“ – 265699 ლარი, პ/გ „ეროვნული ფორუმი“ – 100932,72 ლარი, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 1950967,68 ლარი, პ/გ „საქართველო–ევროპელი დემოკრატები“ – 280099,20 ლარი, საქართველოს კონსერვატიული პარტია – 222202,20 ლარი, საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 488201 ლარი, პ/გ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ – 86930, 52 ლარი, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ – 222202,21 ლარი, პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 353819,32 ლარი, პ/გ „ქართული დასი“ – 108132,72 ლარი, პ/გ „ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა“ – 767583 ლარი, პ/გ „საქართველოს გზა“ – 182134,32 ლარი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია – 182134 ლარი, „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ – 182134,32 ლარი, პ/გ „ხალხის პარტია“ – 222202,21 ლარი.

ასეთი შთამბეჭდავი რიცხვების (საქართველოს პირობებში) გაცნობის შემდეგ, ამომრჩეველს ბუნებრივად გაუჩნდება კითხვები მისი რჩეული პარტიის მიმართ. რატომ ხდება, რომ არჩევნებიდან–არჩევნებამდე მას არ ეძლევა საშუალება, უშუალო კონტაქტი ჰქონდეს პარტიის წარმომადგენელთან, რათა უფრო უკეთესად გაეცნოს მის საარჩევნო პროგრამას და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს ამა თუ იმ საკითხით? იმსახურებს კი იგი მის მხარდაჭერას?

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.



სამოქალაქო
განვითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE